



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუპრადის მატრიცა

კუპრადის მატრიცა, 3-განზომილებიანი დრეკადი გარემოს მდგომარეობის აღწერის მათემატიკური მეთოდი. კ. მ. ჩაიწერება 3×3 მატრიცის სახით, რ-ის ყოველი სტრიქონი და სვეტი არის ფუნდამენტური ამონახსნი 3-განზომილებიანი დრეკადობის თეორიის ჩარჩოებში ჩანერილი დრეკადი გარემოს რხევების განტოლებათა სისტემისთვის სივრცის ყველა წერტილში, გარდა კოორდინატთა სათავისა (იხ. აგრეთვე სტ. კერძონარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები). შემოღებულია და ცხადი სახით აგებულია 1967 ვ. კუპრადის და მისი თანამშრომლების (გ. ბაშალეიშვილი, თ. ბურჭულაძე, თ. გეგელია) შრომებში, სადაც ასევე შესწავლილია კ. მ-ის ძირითადი თვისებები, 3-განზომილებიანი დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიების სხვადასხვა ამოცანაში მისი გამოყენების პირობები და შესაძლებლობა. ასეთ (სინგულარულ) ამონახსნებს ვ. კუპრადე სისტემატურად იყენებდა სასაზღვრო ამოცანების თეორიაში, დამყარებული დრეკადი და ელექტრომაგნიტური რხევების აღსაწერად.

ლიტ.: К у п რ ა დ ჯ ე В. Д., О приближенном решении задач математической физики, „Успехи математических наук“, 1967, т. 22, N 2. К у п რ ა დ ჯ ე В. Д., Г е г е л ი ა Т. Г., Б а ш а л е й ш в и л ი М. О., Б у р ч у л ა დ ჯ ე Т. В., Трехмерные задачи математической теории упругости и термоупругости, М., 1976.

თ. გეგელია
